კვლევა
ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩასა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ, შ.პ.ს. „ქროსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის საკადასტრო კოდი № 01.11.13.002.264) დაპროექტებული „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს შენობის სამეზობლო მიჯნაზე არსებული შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ

ქ. თბილისი 2022 წლის 07 დეკემბერი

დავალების თანახმად შესწავლილ იქნა ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩასა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. №2/68); ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. №2/67); ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, ბაზრობის მიმდებარედ წყალკანალთან ნაკვეთი 02/167; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (ნაკვ. 2/76); ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისაკენ, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს (ID ნომერი: 204573611) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.11.13.002.264) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა, დაპროექტებული „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს მშენებლობის დროს მათზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილებისა და შენობების შემდგომი უსაფრთხო ექსპლოატაციის მიზნით.

საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით, საპროექტო „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს შენობებისათვის გამოყოფილი უბნის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ოთხი ფენა (ოთხივე საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი): I სგე – ტექნოგენური (ნაყარი) გრუნტის (ფენა-1) ქვეშ, რომელიც წარმოდგენილია ხვინჭის, ღორღის, სამშენებლო ნაგვის და უპირატესად თიხოვანი გრუნტის არაერთგვაროვანი ნარევით, მონაწილეობენ: II სგე – დელუვიური, ძნელადპლასტიკური კონსისტენციის მოყვითალო თიხა (ფენა 2), ალაგ-ალაგ მოშავო შეფერილობის, 10%-მდე ხვინჭის ჩანართებით; III სგე – ძირითადი ქანები (ფენა 3), წარმოდგენილი გამოფიტული ფიქლებრივი თიხებით ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით. აღნიშნული ფენა გათიხებულია, ვიზუალურად ნახევრადმყარი კონსისტენციისაა და შეიძლება დახასიათდეს როგორც

ელუვიური ზონა, რომლის სიმძლავრე 3,70÷6,10 მ-ის ფარგლებშია და IV სგე – სუსტად გამოფიტული ძირითადი ქანი - სუბარგილითი (ფენა 4). გრუნტის ეს ფენა შეიძლება დახასიათდეს, როგორც ნახევრადკლდოვანი (შუალედური მდგომარეობა თიხასა და არგილითს შორის - სუბარგილითი. ჰიდროგეოლოგიური პირობებით ტერიტორია ხასიათდება მიწისქვეშა წყლების არცთუ მაღალი მდებარეობით, ციტკულირებენ ტექნოგენურ და თიხოვან გრუნტებში და იკვებებიან ატმოსფერული ნალექების, ტექნოგენური წყლების და მიმდებარე კოლექტორის მოქმედების ხარჯზე. შემადგენელი კომპონენტების მიხედვით, გრუნტის წყალი მინერალიზირებულია და ხასიათდება სულფატური აგრესიულობის სხვადასხვა ხარისხით.

საპროექტო შენობის ტერიტორიას ესაზღვრება: **ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან** – 1. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, მეტროს სადგურ „ახმეტელი“-დან მუხიანში მიმავალი გზა, ალეკო გობრონიძის ქუჩა; 2. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული“-ს საკუთრებაში არსებული თავისუფალი ნაკვეთი (ტროტუარი) საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.072 (ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვეთი 01/072); 3. მოქალაქე ტრისტან მშვილდაძის (P/N: 18001002250) საკუთრებაში არსებული თავისუფალი ტერიტორია საკადასტრო კოდით № 01.11.13.002.095 [ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, I მ/რ, ნაკვეთი 02/067-ის მიმდებარედ (ნაკვ. 02/095)]. **სამხრეთიდან** – 1. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს (ID ნომერი: 204573611) საკუთრებაში არსებულ თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.002.420 (ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, I მიკრო/რაიონი, ბენზოგასამართი სადგურის მოპირდაპირედ, ლუდის ბარის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა №7-ის მიმდებარედ) და მის გასწვრივ, მოქალაქეთა, შპს „ბალავარი-სბ“ (ID ნომერი: 209441200) და შპს „თ.მ.ს გრუპ“-ის (ID ნომერი: 400277623) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.12.002.211 (ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა №7; ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლებაში მიმავალი გზის მარჯვენა მხარე) და მასზე განთავსებული, +6,320 ნიშნულამდე საერთო სივრცით გაერთიანებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ორი მშენებარე კორპუსი [თითეული ბლოკი ცხრამეტსართულიანია (ორი მიწისქვეშა და ჩვიდმეტი მიწისზედა სართულებით)], რომლის კიდედან მანძილი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელ ხაზამდე შეადგენს 19,0 მ-ს. აღსანიშნავია, რომ მშენებარე კორპუსები განთავსებულნი არიან უფრო მაღალ რელიეფზე, ვიდრე საპროექტო ტერიტორია (რელიეფის ზედაპირებს შორის დონეთა სხვაობა დაახლოებით 12,0 მ-ია), ხოლო პარკინგისთვის განკუთვნილი

მიწისქვეშა სათავსო (–2 სართულის იატაკის ზედაპირი) ჩაღრმავებულია რელიეფის ზედაპირიდან –6,600 მ-ით. 2. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, მოქალაქეთა და შპს „ლეველი“-ს (ID ნომერი: 437068254) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.13.002.233 (ქალაქი თბილისი, რამაზ შენგელიას ქუჩა №16) და მასზე განთავსებული თორმეტსართულიანი (ერთი მიწისქვეშა და თერთმეტი მიწისზედა სართულებით) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის კიდედან მანძილი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელ ხაზამდე შეადგენს 20,0 მ-ს. აღსანიშნავია, რომ თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა განთავსებულია უფრო მაღალ რელიეფზე, ვიდრე საპროექტო ტერიტორია (რელიეფის ზედაპირებს შორის დონეთა სხვაობა დაახლოებით 11,0-დან 8,00 მ-დეა), ხოლო სარდაფის სართულის იატაკის ზედაპირი ჩაღრმავებულია რელიეფის ზედაპირიდან –2,600 მ-ით. 3. თავისუფალი, დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის 2,0 მ-იანი სიგანის ზოლი და მის გასწვრივ, შპს „კონსოლი“-ს (ID ნომერი: 405059378) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.13.002.170 (ქალაქი თბილისი, რამაზ შენგელიას ქუჩა №6) და მასზე განთავსებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებარე თორმეტსართულიანი (ერთი მიწისქვეშა და თერთმეტი მიწისზედა სართულებით) შენობა, რომლის კიდედან მანძილი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო წითელ ხაზამდე შეადგენს 12,0 მ-ს. აღსანიშნავია, რომ თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შენობა განთავსებულია უფრო მაღალ რელიეფზე, ვიდრე საპროექტო ტერიტორია (რელიეფის ზედაპირებს შორის დონეთა სხვაობა დაახლოებით 1,0 მ-ია), ხოლო სარდაფის სართულის იატაკის ზედაპირი ჩაღრმავებულია რელიეფის ზედაპირიდან –3,00 მ-ით; 4. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, მოქალაქე გელა მენაბდისა (P/N: 10002000011) და შპს „TGD“-ს (ID ნომერი: 400027047) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.13.002.189 (ქალაქი თბილისი, რამაზ შენგელიას ქუჩა №12) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (ავტოსერვისის ერთსართულიანი ნაგებობები 1/1 და 2/1 და სასტუმროს ორსართულიანი შენობა 3/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით). ამათგან ყველაზე ახლოსმდგომი სასტუმროს შენობა მდებარეობს საპროექტო წითელი ხაზის სამეზობლო მიჯნაზე და 5. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, რამაზ შენგელიას სახელობის ქუჩა. **ჩრდილო-დასავლეთიდან** – სამეზობლო მიჯნაზე მდებარე: 1. საზოგადოებრივი სივრცე, საერთო სარგებლობის შიგა მოხმარების გზა და მის გასწვრივ, შპს „გამა“-ს (ID ნომერი: 208208198) საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.004 [ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა №1 (ნაკვ. 1/4)] და მასზე განთავსებული

ერთსართულიანი შენობა-ნაგებობები (შენობები და ნაგებობები 01/1; 02/1; 03/1; 04/1; 05/1 და 06/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელთაგან უახლოესი (ნაგებობა 04/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 11,0 მ-ით; 2. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს (ID ნომერი: 206345454) საკუთრებაში არსებული, შენობა-ნაგებობებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.122 (ქალაქი თბილისი, ილია ვეკუას ქუჩა №11გ); 3. სამეზობლო მიჯნაზე მდებარე დაურეგისტრირებელი თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდის გარეშე და მის გასწვრივ, შპს „ბაზა ფროფერთის წარმომადგენლობა საქართველოში“ (ID ნომერი: 406234034) და შპს „ახალი მზერა“-ს (ID ნომერი: 204999957) საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.106 (ქალაქი თბილისი, ალექსი გობრონიძის ქუჩა №1კ) და მასზე განთავსებული ორსართულიანი შენობა (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით), რომელიც დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 4,0 მ-ით.

სიტუაციის გამოკვლევისდროინდელი მდგომარეობა ასახულია ფოტომასალაზე, რომელიც დასკვნას თან ახლავს დანართის სახით.

სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს დაგეგმილი აქვს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის, „არქი ახმეტელი“-ს მშენებლობა. პროექტის მიხედვით შენობა შედგება ანტისეისმური ნაკერით გამოყოფილი ორი ბლოკისაგან. პირობითად პირველი ბლოკი გეგმაში მართკუთხა გეომეტრული ფორმისაა, გაბარიტული ზომებით 14,2X59,15 მ. ის ოცდაცხრასართულიანია, აქედან ოთხი სართული განკუთვნილია მიწისქვეშა პარკინგისათვის. პირობითად მეორე ბლოკი გეგმაში „Г“-ს ფორმისაა და ის ოცდასამსართულიანია, აქედან სამი სართული განკუთვნილია მიწისქვეშა პარკინგისათვის. ორთავე ბლოკი ხასიათდება ერთნაირი საანგარიშო სქემით და ისინი წარმოადგენენ ჩარჩოვან-კავშირებიან სისტემას, რომლებიც შედგება მონოლითური რკინაბეტონის კარკასის ჩარჩოებისა და ვერტიკალური, სიხისტის დიაფრაგმებისაგან. შენობა ძირითად ქანებზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის Ø1500 მმ. დიამეტრის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯებით, რომელთა წვერი ჩაანკერებულია ნახევრადკლდოვან ძირითად ქანებში (ფენა 4), რომელიც მიჩნეულია არაკუმშვად გრუნტად და საპროექტო შენობიდან მომიჯნავე შენობებზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება მათი ექსპლუატაციის დროს გამორიცხულია. რას შეეხება მშენებლობის პროცესში მომიჯნავე შენობებზე უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით, ქვაბულის აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ფერდებზე ეწყობა Ø1000 და Ø1200 მმ-იანი დიამეტრის, ერთმანეთში ნაკვეთი გადამღობი კონსტრუქცია, ხიმინჯების კედლები წინასწარ დაძაბული ანკერების მეშვეობით, რომელიც

უზრუნველყოფს ფერდის მდგრადობას და იცავს მომიჯნავე შენობა-ნაგებობებს უარყოფითი ზეგავლენისგან მშენებლობის მიმდინარეობის დროსაც.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალაქ თბილისში, შეშელიძის ქუჩასა და მუხიანის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, ხევძმარის ქუჩა №1-ის მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გობრონიძის ქუჩა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. №2/68); ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. №2/67); ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, ბაზრობის მიმდებარედ წყალკანალთან ნაკვეთი 02/167; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (ნაკვ. 2/76); ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისაკენ, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის [მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № 01.11.13.002.264) სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობებზე უარყოფითი ზეგავლენა დაპროექტებული „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი“-ს მშენებლობის დროს და მისი დასრულების შემდეგაც გამორიცხულია.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოების დროს დაცული უნდა იყოს უსაფრთხოების ტექნიკა 2019 წლის 19 თებერვლის საქართველოს ორგანული კანონის - „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 27 მაისის №361-ე დადგენილების – „მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხარისხიანად და უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების პირობებში დაცული იქნება ქალაქ თბილისში, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. №2/68); ქალაქი თბილისი, გლდანი-მუხიანისკენ მიმავალ გზაზე ავტოსატრანსპორტო საწარმოს მიმდებარედ (ნაკვ. №2/67); ქალაქი თბილისი, მუხიანის დასახლება, ბაზრობის მიმდებარედ წყალკანალთან ნაკვეთი 02/167; ქალაქი თბილისი, მუხიანის მიმდებარედ (ნაკვ. 2/76); ქალაქი თბილისი, დასახლება მუხიანი, ბაზრობის მიმდებარედ, წყალკანალისაკენ, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის სამეზობლო მიჯნაზე მდებარე შენობა-ნაგებობების კონსტრუქციული ელემენტების ტექნიკური მდგომარეობა და შესაძლებელი იქნება მათი უსაფრთხო ექსპლოატაცია ახალი მშენებლობის დასრულების შემდეგაც.

დანართი



საპროექტო ტერიტორია



ტერიტორიაზე შესასვლელი



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, მეტროს სადგურ „ახმეტელი“-დან მუხიანში მიმავალი გზა, ალეკო გობრონიძის ქუჩა



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, „ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეული“-ს საკუთრებაში არსებული თავისუფალი ნაკვეთი (ტროტუარი) საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.072



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე მოქალაქე ტრისტან მშვილდაძის საკუთრებაში არსებული თავისუფალი ტერიტორია საკადასტრო კოდით № 01.11.13.002.095.



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, სააქციო საზოგადოება „ქროსი“-ს საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.002.420



... და მის გასწვრივ, მოქალაქეთა, შპს „ბალავარი-ს“ და შპს „თ.მ.ს გრუპ“-ის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.12.002.211 და მასზე განთავსებული, +6,320 ნიშნულამდე საერთო სივრცით გაერთიანებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ორი მშენებარე კორპუსი [თითეული ბლოკი ცხრამეტსართულიანია (ორი მიწისქვეშა და ჩვიდმეტი მიწისზედა სართულებით)].



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე, მოქალაქეთა და შპს „ლეველი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.13.002 თორმეტსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობა.



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიწნაზე მდებარე, თავისუფალი, დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის 2,0 მ-იანი სიგანის ზოლი და მის გასწვრივ, შპს „კონსოლი“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.13.002.170 და მასზე განთავსებული, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებარე თორმეტსართულიანი შენობა.



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიწნაზე მდებარე, მოქალაქე გელა მენაბდისა და შპს „TGD“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № № 01.11.13.002.189 და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: ავტოსერვისის ერთსართულიანი ნაგებობები 1/1 და 2/1



... და სასტუმროს ორსართულიანი შენობა 3/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით.



საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიწნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, რამაზ შენგელიას სახელობის ქუჩა.



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიჯნაზე მდებარე საზოგადოებრივი სივრცე, საერთო სარგებლობის შიგა მოხმარების გზა



... და მის გასწვრივ, შპს „გამა“-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.004, რომელთაგან უახლოესი (ნაგებობა 04/1 საკადასტრო გეგმის მიხედვით) დაშორებულია საპროექტო წითელი ხაზიდან 11,0 მ-ით.



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიწნაზე მდებარე, შ.პ.ს. „დონა გრუპი“-ს საკუთრებაში არსებული, შენობა-ნაგებობებისგან თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.122



საპროექტო ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება სამეზობლო მიწნაზე მდებარე დაურეგისტრირებელი თავისუფალი მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდის გარეშე



... და მის გასწვრივ, შპს „ბაზა ფროფერთის წარმომადგენლობა საქართველოში“ და შპს „ახალი მზერა“-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით № 01.11.13.001.106 და მასზე განთავსებული ორსართულიანი შენობა (შენობა 1/2 საკადასტრო გეგმის მიხედვით).

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე
საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254